

პიტერ ბრეიგელის “ბრმები”

ჰოლანდიელი მხატვრის პიტერ ბრეიგელის ნახატს: “ბრმები” (1568წ) მეორე სახელწოდება, ფრაზაც აქვს, რომელიც ხსნის ნახატს: “Let them alone: they be blind leaders of the blind. And if the blind lead the blind, both shall fall into the ditch”.

ანუ “დავტოვთ ისინი მარტო: ისინი იქნებიან ბრმების ბრმა ლიდერები და თუ ბრმებს წარუმდვება ბრმა, ყველანი აღმოჩდნებიან თხრილში.”

ამ ცხოვრებაში ბევრი თვლის თავს დასაყრდენად, მაგრამ ცუდ მმართველ ძალას დომინანტური სიკვდილის გამოწვევაც სძალუმს. დანტე ალიგირის ნაწარმოებებშიც კი ყველა ჯოჯოხეთშია, რადგან ცრუ გზას ცუდ შედეგამდე მივყავართ.

ამ ნახატს ცხოვრებას ვუწუდებ. მიუხედავად იმისა რომ ბოლოდან მესამე გრძნობს საშიშროებას, ის მასობრივი ძალის მსხვერპლია: “სადაც ყველა იქაც მე”-სი. რთულია ბრეიგელის მიერ დანახულ სამყაროში აზრის გამოთქმა, საკუთარი იდეოლოგის გზა, რომ “გადამჩეხველი” შემზარავის საქმის გაგრძელება არჩია მესამემაც. ეს სწორედ ის შემთხვევაა სადაც სასოწარკვეთა გადაწონის პასუხისმგებლობას. “ყველაფერი მისი ბრალია, ვინც წინ მიგვიძლოდა”, რა მარტივია დანაშაულის გადაბრალება: “ვისაც მეტი მიეცემა მეტი მოითხოვება”.

რატომ ჰქვია ნახატს ბრმები? ანუ ისინი მხოლოდ ბრმები არიან და არა ყრუები ან მუნჯები?! ისინი ხომ გაიგებდნენ წინ მიმავლის მომავალს... ადამიანის ბუნებას სხვისი სიმართლე, სხვისი დაჯერება, ნდობა უფრო უყვარს, ვიდრე საკუთარის.

ნახატზე ჩანს რომ ისინი არ არიან ბავშვები, რომლებსაც უფლება აქვთ შეცდნენ, ამით ავტორს იმის თქმაც სურს, რომ შეუმცდარი არავინაა, ასაკი არ ნიშნავს გამოცდიელბას. ცხოვრება მასწავლებელია, ოღონდ იმაზე დაუნდობელიც და სამართლიანიც კი ვიდრე ამ “ბრმებს” სწამთ ან უნდა სწამდეთ “დახატული, ვარდისფერი გზების”.

მშვიდი ჰაეროვანი ბუნება, შეუმჩნეველი ჰარმონიით კიდევ უფრო უსაფრთხოდ აგრძნობინებს ადამიანებს თავს, მაგრამ “მშვიდობა?! ომის გეშინოდეთ მოკვდადვნო!”

რამდენმა შეიმოკლა ან შეუმოკლა სხვას ეს “წუთისოფელი” კიდევ წამებად: ნარკომანია, ლოთობა, ომი, მკვლელობა, შიმშილი, ხოცვა-ულეტვა-ეს მასობრივი სიბრმავის შედეგია, მაგრამ სულელებს თავიანთ ლიდერად სულელი ჰყავს.

გასაკვირია, რომ ბოლოდან მეორეს ჯვარი უკეთია. მასმედია ამბობს, რომ ბრეიგელს არ სწამდა ქრისტიანობის, რადგან ისიც განწირულია; მაგრამ იქნებ სრულიად სხვანაირად უნდა დავინახოთ მისი სათქმელი?! იქნებ ღმერთან სიახლოვე, რელიგია სულაც არ უზრუნველყოფს ჩვენს სიცოცხლეს. ჩვენივე სიცოცხლე ჩვენსავე ხელშია და თუ ხელი არ გავანძრიეთ უხეშად რომ ვთქვათ, სხვა არ გააკეთებს და არ გაგვიყვანს “ლამაზი გზის, ლამაზ ბოლოში”.

ჩვენ შეგვიძლია გვიყვარდეს და გვჯეროდეს ერთმანეთის, მაგრამ არასდროს: “Lose ourselves, mind and faith to find our happiness, our ways to heaven” “დავკარგოთ საკუთარი თავი, გონება და რწმენა, გამბედაობა იმისა, რომ ვიპოვოთ ბედნიერება და ჩვენი გზა სამოთხისაკენ”.